2630/05-8 5/7/2025

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის“ (შემდგომში *„სილქნეტი“*) შენიშვნებს კომისიის N გ-25-23/160 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების (შემდგომში *„საჯარო წარმოება“/ „წარმოება“*) ფარგლებში საკონსულტაციოდ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილების პროექტზე - „მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების თაობაზე“ (შემდგომში *„5G აუქციონების გადაწყვეტილების პროექტი“*).

როგორც თქვენთვის ცნობილია: (i) *სილქნეტმა* 2024 წელს გამართული 5G აუქციონის მიზნებისთვის[1] შემუშავებული სიხშირული რესურსის საფასურის გაანგარიშებასთან (კერძოდ, ბიზნეს მოდელირების ნაცვლად ბენჩმარკინგით გაანგარიშებასთან) დაკავშირებით თავისი შენიშვნები და კომპანია Frontier Economics-ის მიერ მომზადებული ანგარიში კომისიაში წარმოგიდგინა 2024 წლის 9 სექტემბრის N 5382/01-8 წერლით, ასევე (ბ) *სილქნეტმა* 2025 წლის 26 მარტის N 1795/05-8 წერილით მოგაწოდათ Frontier Economics-ის მიერ მომზადებული დოკუმენტები, სადაც ასახულია შენიშვნები სიხშირული რესურსის საფასურის გაანგარიშებისას ბენჩმარკინგის მოდელში PPP-ის (მსყიდველობითი პარიტეტის) არასწორად გამოყენებასთან დაკავშირებით.

ვინაიდან მიმდინარე *საჯარო წარმოების* ფარგლებშიც სიხშირული რესურსის საფასური *კომისიამ* განსაზღვრა მის მიერ 2024 წელს გამართული 5G აუქციონის მიზნებისთვის შემუშავებული გაანგარიშების საფუძველზე, *სილქნეტის* 2024 წლის 9 სექტემბრის N 5382/01-8 და 2025 წლის 26 მარტის N 1795/05-8 წერილებით წარმოდგენილი შენიშვნები რელევანტურია ამ *წარმოების* ფარგლებშიც.

[1] კომისიის N გ-24-23/339 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში

შესაბამისად, გაცნობებთ, რომ *სილქნეტი* დღესაც სრულად ეთანხმება მის მიერ ზემოაღნიშნული წერილებით/დოკუმენტებით წარმოდგენილ შენიშვნებს და გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული შენიშვნები მიმდინარე *წარმოების* ფარგლებშიც.

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი
დავით მამულაიშვილი

Silknet JSC

Digitally signed by Silknet JSC
Date: 2025.05.07 17:51:09 +04'00'